# ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

21 თებერვალი, ხუთშაბათი, 1991 წ.
№ 31 (10 444) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ეროვნული ჩემპიონატი კიო-კუშინ-კარატეში

## კარატე უფრო პრესტიჟულია?

ადრე ეს ამბავი ჭორად დადიოდა, ახლა კი ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით — ცნობილი სოხუმელი მძლეოსანი ტარიელ ბიწაძე კარატეს ოსტატთა რიგებს შეუერთდა.

ეს შეჯიბრება, რომელშიც ძმები ტარიელ და ამირან ბიწაძეებიც მონაწილეობდნენ, ამ დღეებში გაიმართა თბილისში, სპორტკომპლექს „მართვეს" დარბაზში. ეს იყო პირველი ეროვნული ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობა კიოკუშინ-კარატეში, სახეობაში, რომელსაც დღეს ჩვენთან ბევრი მიმდევარი ჰყავს. ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებული 40 სპორტსმენი სცდიდა ძალებს ფინალურ ორთაბრძოლებში.



წონითი კატეგორიების მიხედვით ადგილები ასე განაწილდა — 62 კგ. 1. გაბრიელ ოსეფაშვილი, 2. გურგი ლემეტრაშვილი, 3. მერაბ ყუბუსიძე. 70 კგ. 1. ოთარ გელაძე, 2. ბექან გოგიბერიშვილი, 3. ზაზა ტოგონიძე. ოთარ გელაძე სპეციალისტებმა ჩემპიონატის ყველაზე ტექნიკურ მონაწილედაც დაასახელეს. 80 კგ. 1. ბერდია მუსელიანი, 2. ირაკლი გოგოლაშვილი, 3. ვახტანგ ლონლაძე — ყველა გამარჯვებული და პრიზიორი თბილისელია. + 80 კგ. 1. ზეზვა ქერაშვილი (თბილისი), 2-3 ადგილები დაიკავეს სოხუმელმა ძმებმა — ამირან და ტარიელ ბიწაძეებმა. ასპარეზობაში გამარჯვებულთათვის და პრიზიორთათვის ფულადი პრიზებიც იყო დაწესებული — პირველი ადგილისთვის 3000 მანეთი მეორისთვის — 2000, მესამისთვის — 1000.

საქართველოს კარატისტებმა მიიღეს პერსონალური მიწვევა იაპონიიდან, სადაც ნოემბერში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი სპორტის ამ სახეობაში.

**ვიქტორ ბუკინის ტექსტი და ფოტო.**

გამოხმაურება

## დარგს — თავისი პროფკავშირი

**გურჯაანი**
რაიონის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებში ერთსულოვნად მოიწონეს ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა და სპორტსმენთა დარგობრივი პროფკავშირის შექმნის წინადადება. ვატარებთ მხარდამჭერ კრებებს.

**ზივი ბექიტაშვილი,**
**რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე (დეპეშით).**

**თიანეთი**
ვიწონებთ, მხარს ვუჭერთ დარგობრივი პროფკავშირის შექმნას. დღეს ეს გადაუდებლად მოსაგვარებელი საკითხია. დავიწყეთ წესდების პროექტის განხილვა.

**ჯინორი ლობჟანიძე,**
**რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე (დეპეშით).**

## საწვრთნელი მატჩი

**საქართველოში** სტუმრად იმყოფება პოლონეთის ქალაქ კატოვიცეს ფეხბურთელთა გუნდი გკს, რომელიც საწვრთნელ მატჩებს მართავს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ჯგუფში მოასპარეზე კოლექტივებთან.

პოლონელი ფეხბურთელები შეხვდნენ საქართველოს 1990 წლის ჩემპიონს თბილისის „იბერიას" და დამარცხდნენ — 1:2. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს კ. გოგიჩაიშვილმა და გ. ნემსაძემ.

საკავშირო პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს შორის

## ეს მეტისმეტი იყო

**არაობიექტური** მსაჯობა რომ არა, ალბათ, უკეთესი ნადავლით დაბრუნდებოდნენ ჩვენი ჭაბუკი (1973-74 წლებში დაბადებულნი) მოჭიდავეები ჩებოქსარიდან, სადაც გაიმართა საკავშირო პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს შორის. ამ პირველობაში ჩვენი რესპუბლიკიდან 36-მა მოჭიდავემ იასპარეზა. აქვე უნდა შერჩეულიყვნენ კანდიდატები ევროპის პირველობასა და ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირ „მეგობრობაზე" გასამგზავრებლად. მსაჯების ასეთი არაობიექტურობა ჩვენ ჯერ არ გვინახავს — გვითხრა ჩებოქსარიდან დაბრუნების შემდეგ მწვრთნელმა ნუგზარ სხიერელმა — კარგად გვახსოვს მსაჯების უწინდელი მიკერძოება, მაგრამ ეს მეტისმეტი იყო, წარმოიდგინეთ, სულ ცოტა... რვა შეხვედრაში დაგვჩაგრეს.

მიუხედავად ამ „თავგადასავლებისა" საქართველოს წარგზავნილებმა 3 პირველი, 2 მეორე და ერთი მესამე ადგილები დაიკავეს.

58 კგ. წონით კატეგორიაში გამოდიოდა თანატოლთა შორის მსოფლიო პირველობაში გამარჯვებული გორელი დავით პოლოსიანი („შევარდენი", მწვრთნელები: ნუგზარ სხიერელი, მერაბ მუზაშვილი), რომელმაც 7 შეხვედრაში იმარჯვა. აქედან ხუთი ვადაზე ადრე დაამთავრა, ფინალურ ორთაბრძოლაში მისი მეტოქე უზბეკეთის წარმომადგენელი ი. შამბულეტოვი იყო. დ. პოლოსიანმა თავიდანვე საკმაოდ იაქტიურა, ბოლოს კი წმინდადაც გაიმარჯვა.

81 კგ წონაში ასევე კარგად იასპარეზა „მეგობრობის" შარშანდელ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულმა სოხუმელმა ზაზა გოგუამ („შევარდენი", მწვრთნელები: შოთა კიკაბიძე, გომელ ხარებავა), რომელმაც ფინალამდე დამაჯერებლად დაამარცხა ყველა მეტოქე, გადამწყვეტ შეხვედრაში კი ხერსონელ ვ. ასანოვს სძლია.

რუსთაველ ზურაბ ლოლაშვილს ასაკის მიუხედავად უკვე აქვს საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილება. იგი მსოფლიო პირველობის მეორე პრიზიორია (97 კგ, „დინამო", მწვრთნელები: იოსებ მინდიაშვილი, პეტრე ჯიოშვილი). მან ფინალამდე ყველა მეტოქე აშკარად დაჯაბნა და გადამწყვეტ შეხვედრაში ბროვარელ ვ. დენისოვს აჯობა.

დრამატული გახლდათ 43 კგ წონითი კატეგორიის ფინალში საგარეჯოელ თემურ საბაშვილისა („მართვე", მწვრთნელები: ვალიკო მეკოკიშვილი, ჯემალ ბენდიანიშვილი) და ჩებოქსარელ ლ. ვერშინოვის ორთაბრძოლა. ვერშინოვმა პირველსავე წამებზე აიღო ქულა და შემდეგ აშკარად პასიურობდა, რასაც მსაჯებმა არავითარი ყურადღება არ მიაქციეს და საბოლოოდ მასპინძელს გაამარჯვებინეს.

თბილისელმა გიორგი ხაბელაშვილმა (68 კგ, „მართვე", მწვრთნელი ივანე ნიკოლაძე) ფინალამდე 6 შეხვედრა ჩაატარა და ექვსივეში გაიმარჯვა, აქედან სამი წმინდად მოიგო, ფინალში კი რსფსრ-ის გუნდის წევრ შ. შამილოვთან ქულებით დამარცხდა.

გორელმა გარი მოდოსიანმა (74 კგ, „შევარდენი", მწვრთნელები: ნ. სხიერელი, მ. მუზაშვილი) მესამე ადგილი დაიკავა.

## ტურნირები და შედეგები

**ჩოგბურთი.** ბრიუსელის საერთაშორისო ტურნირი, როგორც ცნობილია, ფრანგმა გი ფორჟემ მოიგო და ამ გამარჯვებისთვის 77500 დოლარი მიიღო. ფორჟემ მსოფლიო რეიტინგში მეთერთმეტედან მეშვიდე ადგილზე გადაინაცვლა. ამ ტურნირის ფინალისტს ანდრეი ჩერკასოვს 43 ათასი დოლარი ერგო (იგი ამჟამად მსოფლიო რეიტინგში მე-17 ადგილზეა). ბორის ბეკერი და სტეფან ედბერგი ტურნირს ნახევარფინალში გამოეთიშნენ (ბეკერი ტრავმის გამო, ედბერგი კი გი ფორჟესთან მარცხის შემდეგ). ედბერგი მსოფლიო კლასიფიკაციაში ისევ პირველ ადგილზეა (3863 ქულა), ბეკერი კი მას 17 ქულით ჩამორჩება.

**მძლეოსნობა.** მსოფლიო რეკორდების მფლობელი 1500, 2000, 3000 და 5000 მეტრზე რბენაში მაროკოელი საიდ აუიტა წლეულს ზამთრის სეზონს ტრავმის გამო გამოტოვებს. კერძოდ, იგი არ იასპარეზებს სტოკჰოლმისა და პარიზის საერთაშორისო ტურნირებში, ვერ გამოვა ვერც სევილიაში, სადაც ზამთრის III მსოფლიო ჩემპიონატი უნდა მოეწყოს (მარტში).

**ფიგურული ციგურაობა.** მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა და ამავე დროს ყველაზე პერსპექტიულმა ფიგურისტმა, იაპონელმა მიდორი იტომ ქვეყნის ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ უარი თქვა საპოროს ზამთრის უნივერსიადაში მონაწილეობაზე. იგი ამ პერიოდში საფუძვლიანად მოემზადება მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც გაიმართება წლეულს მარტში, მიუნხენში.

**ჩოგბურთი.** შტუტგარტში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდია 1 მილიონი დოლარი. გთავაზობთ პირველი წრის ზოგიერთ შედეგს: ემილიო სანჩესი (ესპანეთი) — ამოს მანსდორფი (ისრაელი) 7:6, 6:3; სერხიო ბურგერა (ესპანეთი) — თომას მუსტერი (ავსტრია) 6:2, 6:3, სტეფან ედბერგი (შვეცია) — მარკუს ცოკე (გერმანია) 6:4, 7:6.

**კალათბურთი.** გუშინწინ საკავშირო ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში ტალინის „კალევი" შინ მოსკოვის „დინამოსთან" დამარცხდა — 97:117. სტუმრების უპირატესობა, ფაქტობრივად, პირველსავე ტაიმში გამოიკვეთა, რომელიც მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 65:50.



**როგორც** ვიუწყებოდით, თბილისში დამთავრდა გიორგი ეგნატაშვილის სახელობის თასის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში.
გთავაზობთ საქინფორმის ფოტოქრონიკის მიერ მომზადებულ ფოტორეპორტაჟს (რგოლებზე ვარჯიშობს თასის ოთხგზის მფლობელი ამირან ბერიანიძე).





## ამჯერად მეთერთმეტე...

**ბაკურიანელმა** სპორტსმენებმა ლევან თიბილოვმა და კახა ვახტანგიშვილმა მეთერთმეტე შედეგი (1.47,823) აჩვენეს ინსბრუკის ოლიმპიურ ტრასაზე გამართულ მოციგავე წყვილთა შეჯიბრებაში მსოფლიოს თასის გათამაშების მორიგ ეტაპზე. გამარჯვება აქ იტალიურმა „დუეტმა" — ჰანს-იორგ რაფლმა და ნორბერტ ხუბერმა (1.44,124) მოიპოვეს.

**„ლელოს" კორ.**

გვაახსოვრათ, ჩემპიონებო!

# ჩემპიონის აუხდენელი ოცნება

**ყველა** საგარეჯოელი ყმაწვილივით ისიც პატარაობიდანვე ოცნებობდა მოჭიდავე გამხდარიყო. სოფლის ნახერხმოყრილ, ღია სარბიელზეც ბევრჯერ მოუსინჯავს მკლავისა და მუხლის ძალა. მართალია, ჯანი ერჩოდა, მაგრამ თანატოლებისაგან გამორჩეული არასდროს ყოფილა. მეტიც, რაიმე მნიშვნელოვანი წარმატებისთვის რაიონულ შეჯიბრებაშიც კი არ მიუღწევია.

1967 წელს გივი ონაშვილმა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩააბარა მისაღები გამოცდები. აგრონომიული ფაკულტეტის პირველკურსელმა მაშინვე სპორტულ დარბაზს მიაშურა და გამოცდილი მწვრთნელის ბიძინა მაზიაშვილის ხელმძღვანელობით სამბოში დაიწყო ვარჯიში. ოცი წლის ჭაბუკს მალე თავის გამოჩენის შანსიც მიეცა.

ბაქოში საკავშირო ჩემპიონატის ზონალური პირველობა ტარდებოდა. პატარძეულელი ჭაბუკი პირველ მეტოქეს ადვილად გაუმკლავდა, შემდეგ კი ზედიზედ დამარცხდა და კვარცხლბეკისაკენ „მიმავალთა“ რიგებს ჩამოშორდა. საკუთარ თავზე გაბრაზებულმა დატოვა ლეიბი და ის იყო, გასახდელისაკენ უნდა წასულიყო, რომ წინ ჭაღარათმიანი მამაკაცი გადაეღობა.

— გამაჩერა, — იგონებს ბატონი გივი — მხარზე ხელი დამარტყა და შემაქო, ყოჩაღ, კარგად იჭიდავეო. ვიფიქრე, დამცინის-მეთქი და ლამის შევიკურთხე, მაგრამ იქვე გამეცნო: საბჭოთა კავშირის ძიუდოისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვლადიმერ ანდრეევი აღმოჩნდა. თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნება, საკავშირო ნაკრების საწვრთნელ შეკრებაზე გამოგიძახებო, მითხრა. აღარც კი მახსოვს, რა ვუპასუხე. თბილისში დაბრუნებულმა ისევ სპორტდარბაზს მივაშურე.

დაიწყო ყოველდღიური მომქანცველი ვარშიჯები. ბატონი ბიძინა ამჩნევდა, რომ ჭაბუკს ჯანი მოსდევდა, მაგრამ ჭიდაობის ტექნიკა არ უვარგოდა, ფანდებს სრულყოფილად ვერ ფლობდა, ბევრი რამ თავიდან უნდა ესწავლა. ბუნებით მომადლებული ნიჭის „გახსნა“ იყო საჭირო. გამოცდილ მასწავლებელსა და გამრჯე შეგირდს ცდა არ დაუკლიათ.

მომდევნო წელს ანდრეევმა პირობა შეასრულა — გივი ონაშვილი საკავშირო ნაკრებში მიიწვია, რამდენიმე შეჯიბრებაშიც გამოცადა. 1969 წლის ევროპის ჩემპიონატის წინ კი ნაკრებში ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კიეველ ევროპის ჩემპიონ ვლადიმერ საუნინსა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონ, მოსკოველ ვიტალი კუზნეცოვს შეარკინა. ქართველმა ფალავანმა აშკარად დაჯაბნა მეტოქეები და ბელგიაში გაემგზავრა.

— ქვეჯგუფში ოთხი შეხვედრა მოვიგე და ფინალში ევროპის მრავალგზის ჩემპიონს ჰოლანდიელ ვილიმ რიუსკას შევხვდი. თანაბარ ორთაბრძოლაში ერთი გაფრთხილებით მეტი მივიღე და ვერცხლის მედალს დავჯერდი. — გვიამბობს გივი ონაშვილი.

შემდგომში წარმატებებმა იმრავლა. დღეს სპორტის დამსახურებული ოსტატის კოლექციას ამშვენებს XX ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები, ევროპისა და საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონობა, ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული სამი „ვერცხლი“ და ერთი „ბრინჯაო“, ქვეყნის ჩემპიონატსა და ხალხთა V სპარტაკიადაზე დაკავებული მესამე ადგილები. ცხადია, ამ წლებში იყო გამარჯვებებით გამოწვეული ზღვა სიხარული და დამარცხებების სევდაც.

**● ბატონო გივი, ყველა წაგება დახანანია, მაგრამ ხშვებზე მეტად მაინც რომელმა მარცხმა დაგწყვიტათ გული?**

— მიუნხენის ოლიმპიადაზე ნახევარფინალში მასპინძელთა კერპს კლაუს გლანს ვხვდებოდი. ჩემი ერთ-ერთი ფანდი იაპონელმა მსაჯმა * იპონით შეაფასა. აღტაცების გამოხატვაც ვერ მოვასწარი, რომ არბიტრმა მოულოდნელად გადაწყვეტილება შეცვალა. ისე დავიბენი, აღარც მახსოვს გონგის ხმამდე რას ვაკეთებდი ტატამზე. საბოლოოდ „ბრინჯაო“ მერგო.

**● ალბათ, ყველაზე მეტად ეს ორთაბრძოლა დაგამახსოვრდათ...**

— არა. ის პაექრობა ცოტა უფრო ადრინდელია. 1970 წელს ბერლინში ევროპის გუნდური პირველობა ჩატარდა. ფინალში ჰოლანდიელებს ვხვდებოდით. ანგარიში საყაიმო იყო — 4:4. ყველაფერს რიუსკასთან ჩემი შერკინება წყვეტდა, ორთაბრძოლა ფრედ დამთავრდა, რაც ჩემპიონობისთვის საკმარისი აღმოჩნდა. ეს იყო ჩემი პირველი „ოქრო“.

**● სურვილი ხშირად შეგსრულებიათ?**

— ვერ ვიტყვი, ბედის ნებიერი ვიყავი-მეთქი, მაგრამ მიზანს მეტნაკლებად მაინც ვაღწევდი. ერთადერთი ოცნება, რომელიც აუხდენელი დამრჩა, ეს იყო მსოფლიო ჩემპიონობა. არადა, 1975 წელს მიზანთან ახლოს ვიყავი. ამ დროისთვის, ფაქტობრივად, ყველა პოტენციურ მეტოქეს ვჯობნიდი. სამწუხაროდ, მსოფლიო ჩემპიონატის წინ საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირზე ტრავმა მივიღე და შეჯიბრებაზე ვერ გავემგზავრე. ოცნება ოცნებად დარჩა. შემდგომი წლიდან დიდ სპორტს გამოვეთხოვე.

**● საფრანგეთთან, მგონი, უსიამოვნო მოგონებაც გაკავშირებთ...**

— უფრო საკავშირო სპორტსახკომთან. პარიზში ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირზე ყოფნისას მე და რამაზ ხარშილაძე სასტუმროში ერთად ვცხოვრობდით. ნომერში ბარი-მაცივარი გვქონდა. რა სახის გამაგრილებელი სასმელი თუ ლუდი გინდოდა, ოღონდ შესაბამის ღილაკზე დაგეჭირა თითი. ცხადია, ამ სიკეთით კარგად ვისარგებლეთ, წამოსვლისას სამგზავროდ რამდენიმე ბოთლი წამოვიღეთ, თბილისში ჩამოსულებს საკავშირო სპორტსახკომიდან დეპეშა დაგვადევნეს, სასწრაფოდ 500-500 მანეთი გამოგზავნეთო. თურმე, სასტუმროს პირველ სართულზე კომპიუტერს ყველა ბოთლი საგულდაგულოდ აღუნუსხავს. ჩვენთვის არავის არაფერი უთქვამს თანხაზე: რადგან სასმელები ოთახში დაგვხვდა, მათი საფასურიც გადახდილი გვეგონა. ისე კი, არა მგონია, ნაკრების წევრებს სამ-ოთხ დღეში ხუთასი მანეთის რამე დაგველიოს. ჩვენი გამოუცდელობით, ეტყობა, ვილაცამ ხელი მოითბო.

**● წარსულიდან კიდევ რას გაიხსენებდით კურიოზულს?**

— შვეციაში ვიმყოფებოდი საერთაშორისო ტურნირზე. შეჯიბრების წინა დღეს, ვარჯიშის შემდეგ, ბიჭებმა სტოკჰოლმის ქუჩებში გავისეირნეთ. დრო ისე გაგვეპარა, რომ ვერც კი შევნიშნეთ. სასტუმროში გვაგვიანდებოდა თათბირზე. მანქანა ვერაფრით ვერ გავაჩერეთ. ქუჩის კუთხეში ტელეფონის ჯიხური შევნიშნე. ვიფიქრე, სასტუმროში მაინც დავრეკავ-მეთქი, მაგრამ ტელეფონს ნომრის ასაკრეფი დისკი არ აღმოაჩნდა. ყურმილი მაინც ავიღე. „გისმენთო“, — მიპასუხა ინგლისურად ქალის ხმამ. დავიბენი, არ ვიცოდი, რა მეთქვა. ისე ჩემთვის ჩავილაპარაკე, შენც ახლა ტაქსი არ გამომიგზავნო-მეთქი და ყურმილი დავკიდე. რამდენიმე წუთიც არ გასულა, რომ ჩვენს წინ ტაქსი გაჩერდა და მძღოლმა გვიხმო. მოულოდნელობისგან ერთმანეთს გადავხედეთ. შემთხვევას ხელიდან როგორ გავუშვებდით.. შემდეგ გავიგე, რომ ტელეფონის იმგვარი ჯიხურები თურმე, ტაქსების გამოსაძახებლად ყოფილა დადგმული. მორიგე გოგონამ ჩემს ქართულ პასუხში „ტაქსი“ რომ გაიგონა, მანქანაც იმიტომ გამოგვიგზავნა „აღნიშნულ მისამართზე“.

**● ბატონო გივი, თქვენი ოთხი ქალიშვილიდან ორი უკვე ეზიარა დიდ სპორტს...**

— დიახ, უფროსი გოგონა — 19 წლის ნინო, სპორტის ოსტატია მძლეოსნობაში; ახალგაზრდებს შორის საკავშირო პირველობის მრავალგზის პრიზიორია ბადროს ტყორცნაში; გასულ წელს საქართველოს მოზარდთა რეკორდიც დაამყარა; შარშანვე ახალგაზრდებს შორის საკავშირო პირველობაზე ყველას აჯობა ბირთვის კვრაში. მარინე 15 წლისაა. თანატოლებში რესპუბლიკური პირველობის გამარჯვებულია ბადროს ტყორცნაში. ორივე [illegible] ტულში ავარჯიშებს. გოგონებიც წარმატებებს [illegible]ლიან. შორენა და ირინე კი ჯერ პატარები არიან.



გივი ონაშვილი შვილებთან — ნინო და შარინესთან ერთად სპორტის სასახლეში ახლახან გამართულ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირზე. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

**● როგორ ფიქრობთ, შორენა და ირინე ხომ არ გააგრძელებენ მამის გზას? ქალთა ძიუდო ხომ ახლა მოდაშია.**

— თუ სურვილი ექნებათ, მათი ნებაა სპორტის რომელ სახეობას აირჩევენ, ოღონდ ჭიდაობას — არავითარ შემთხვევაში!

**● რატომ ასე კატეგორიულად? მით უმეტეს, თბილისში მოარულ ჭორს თუ დავუჯერებთ, ახალი სასწავლო წლიდან სასწავლო პროგრამებში საბრძოლო სამბოს სწავლება შეაქვთო...**

— ჭორისა რა მოგახსენოთ, მაგრამ არ გვაწყენდა, თუ თითოეული ადამიანი ბავშვობიდანვე დაეუფლებოდა თავდაცვის რამდენიმე ეფექტურ ილეთს, არც ის იქნებოდა ურიგო, სასწავლო პროგრამებში ქართული ჭიდაობისა და ცურვის შესწავლას თუ შევიტანდით. ყოველივე ეს როდი ნიშნავს თითოეული მოზარდის პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას. ახალგაზრდების ფიზიკურ წრთობას მეტი ყურადღება სჭირდება.

**● ერთი „არასპორტული“ შეკითხვაც. თქვენ ოთხი წელია პატარძეულის მეცხვარეობის მეურნეობის დირექტორი ბრძანდებით. როგორ უყურებთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლისა და გლეხებისათვის მიწების გადაცემის მოთხოვნას?**

— 1976 წლიდან, რაც სპორტს თავი დავანებე, სოფლის მეურნეობაში ვსაქმიანობ, და მის ავ-კარგში, ასე თუ ისე, ვერკვევი, ჩვენს მეურნეობაში მეცხოველეობა კარგა ხანია იჯარაზე გადავიყვანეთ. მალე სახნავ-სათესსა და ზვრებსაც იჯარული წესით დავამუშავებთ. რაც შეეხება საერთოდ კოლმეურნეობებისა და მეურნეობების ლიკვიდაციას, გლეხებისათვის მიწის დარიგებას — ეს მომავალში გარდუვალია, მაგრამ ამჯერად საქმეში აჩქარება არ გამოგვადგება. დიდი პოეტის თქმისა არ იყოს, — ზოგჯერ სიწყნარე გობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა. ყველაფერი გონებით უნდა განვსაჯოთ და არა ემოციებით, როგორც ამას 70 წლის მანძილზე მივეჩვიეთ. არ გეგონოთ, ამგვარ სიფრთხილეს დირექტორის სავარძლის შესანარჩუნებლად ვიჩენდე. კერძო საკუთრებაზე გადასვლამდე ბევრი საქმის მოგვარება საჭირო. პირველ ყოვლისა, მცირე მექანიზაცია უნდა განვავითაროთ, კარგად გავერკვეთ, ვის მივცეთ მიწა, ვის ვანდოთ იგი, რადგან სურვილი და შესაძლებლობა ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვევა. მიწა კი ამდენ შეცდომას და გულგრილობას არ გვაპატიებს.

ესაუბრა ვაჟა დანელია.

---

## მკითხველი — გაზეთი

**სპორტი და პოლიტიკა! ამ საკითხში აზრთა სხვადასხვაობაა. გთხოვთ გვიპასუხოთ რაში გამოიხატება სპორტული მოძრაობის კავშირი პოლიტიკასთან?**

**თევრად ედელაშვილი,**
**სოფ. ბრეთი,**
**ქარელი.**

ამ დღეებში გაზეთმა „არგუმენტი ი ფაქტი“ გამოაქვეყნა ინტერვიუ საკავშირო სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილესთან ლ. დრაჩევსკისთან. აი რას ამბობს იგი სპორტისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირის შესახებ.

— სპორტი ყოველთვის იდგა პოლიტიკის სამსახურში. სამწუხაროდ, ჩვენი ლიდერები, თავიანთ უცხოელ კოლეგებისგან განსხვავებით, ახლა სუსტად იყენებენ სპორტის ბერკეტებს. არგენტინის პრეზიდენტმა ფეხბურთი ითამაშა მარადონასთან ერთად და დღემდე ამ ფაქტს ყველგან ხაზს უსვამენ. აშშ-ის პრეზიდენტი ხელიდან არ უშვებს შემთხვევას დაადასტუროს სპორტთან თავისი დამოკიდებულება. ნიშანდობლივია, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ჯორჯ ბუში აშშ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი გახდა. ინტერესი, რომელსაც სახელმწიფო ლიდერები ავლენენ თავიანთი ათლეტებისადმი, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ერის ფიზიკურ-მორალურ მდგომარეობას.

# მარშრუტი თბილისზე გაივლის

**პარიზელმა გრიგორი კრასოვსკიმ შარშან პირადი თაოსნობით მოაწყო მშვიდობის ველოგადარბენა მოსკოვიდან პარიზამდე. მისმა მოსკოველმა სეხნიამ გონჩაროვმა კი ახალი მოგზაურობის იდეა წამოაყენა. ეს ღონისძიება სავარაუდოდ დაიწყება 1991 წლის 28 აპრილს. მარშრუტი გაივლის თბილისს, ერევანს, ბაქოს, თეირანს, დამასკოს, იერუსალიმს, თელ-ავივს და სხვა ქალაქებს. გადარბენა ჩატარდება ეტაპობრივად; ჯგუფში მხოლოდ 12 მონაწილე იქნება, ყოველი მათგანი პენსიონერია.**

**კრასოვსკი და მისი თანამგზავრები შეგნებულად აცხადებენ უარს სპონსორთა დახმარებაზე. მათ მხოლოდ კეთილი ნების ადამიანთა მორალური მხარდაჭერის იმედი აქვთ.**

• • •



**ს უ რ ა თ ზ ე: პარიზელი გრიგორი კრასოვსკი (მარცხნივ) და მისი მოსკოველი მეგობარი გრიგორი გონჩაროვი.**

**ო. ბულდაკოვის ფოტო.**

## კასპაროვის მემკვიდრე?

ჩვიდმეტი წლის მსოფლიო ჩემპიონმა ჭაბუკებს შორის ჟოელ ლოტიემ განაცხადა, რომ 1993 წელს გვირგვინს ჩამოართმევს გარი კასპაროვს. ეს განცხადება სპეციალისტებმა ნაადრევად მიიჩნიეს, თუმცა ახალგაზრდა ფრანგი დიდოსტატის ნიჭს ისინი სათანადოდ აფასებენ.

ლოტიე ინჟინრის ოჯახში დაიბადა. მართალია, მას არავითარი ოფიციალური წოდება არ გააჩნია, მაგრამ კარგ მოჭადრაკედ ითვლება. პირველი პარტია ჟოელმა სამი წლისამ ითამაშა. ხუთი წლისა უკვე უგებდა ჭადრაკის მოყვარულ დედას. ათი წლისამ საფრანგეთის ბავშვთა ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავა. ამის შემდეგ სერიოზულად შეუდგა ჭადრაკში მეცადინეობას, სკოლაც კი მიატოვა.

ამჟამად ლოტიეს ჰყავს სოლიდური სპონსორები, რომლებიც დასთანხმდნენ დააფინანსონ მისი მზადება საერთაშორისო შეჯიბრებისათვის და საჭირო თანხაც გამოუყვეს საუკეთესო მწვრთნელების ასაყვანად.

# კომისიამ გაამართლა

**ჟენევიდან** მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ყინულზე ცეკვაში მსოფლიო ორგზის ჩემპიონი მარინა კლიმოვა, რომელსაც ევროპის ჩემპიონატზე (სოფიაში) დოპინგის მიღება ედებოდა ბრალად, სპეციალურმა კომისიამ გაამართლა. ეს ოფიციალურად დაადასტურა საციგურაო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ბეატა ჰესლერმა.

დოპინგ-კონტროლის ოლიმპიურ ლაბორატორიაში (ლაბორატორია კიოლნში მდებარეობს) გაკეთებულმა ხალასალმა ანალიზმა უარყო პირველი ანალიზის შედეგები. როგორც ცნობილია, 26 იანვარს სოფიაში აღებულმა სინჯებმა კლიმოვას სისხლში აკრძალული სტეროიდების კვალი აღმოუჩინა.

ამჯერად ბეატა ჰესლერმა ინციდენტი ამოწურულად ჩათვალა და სპორტსმენს ოფიციალურად ბოდიში მოუხადა.



# საიდან დაიწყო ძიუდო

**ტეგოი** ისეთივე წმინდა იაპონური სიტყვაა, როგორიც ძიუდო, მათ მნიშვნელობაც თითქმის ერთნაირი აქვთ. ოღონდ ტეგოისა და ძიუდოს შორის თამამად შეიძლება ჩავატიოთ იაპონიის ისტორიის ერთი დიდი მონაკვეთი. უხსოვარ დროში ტეგოი მიჩნეული ყოფილა თავდაცვის ყველაზე პოპულარულ სისტემად, რომელმაც თავისი კვალი დაატყო უფრო გვიანდელი იაპონური ჭიდაობის სხვადასხვა ფორმებს — ჯიუ-ჯიცუს, კარატეს, სუმოს, ძიუდოს.

მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში ვერ შეხვდებით თავდაცვის ისეთ ორიგინალურ და თვითმყოფად სისტემებს, როგორსაც ამომავალი მზის ქვეყანაში. ძიუდო, ჯიუ-ჯიცუ, კარატე, სუმო მრავალი ნიშნით ენათესავებიან ერთმანეთს, მაგრამ განსხვავდებიან კიდეც, როგორც თავდაცვის ფორმები, როგორც ბრძოლის კონკრეტული საშუალებანი.

ძიუდოში მთავარია მეტოქის წონასწორობიდან გამოყვანა. ამ მიზანს მებრძოლი მოწინააღმდეგის შეცდომის მეშვეობით აღწევს. ჯიუ-ჯიცუში იმავე ილეთებით შეიარაღებული მეტოქის დამარცხებაც შეიძლება. თუმცა ეს სისტემა მიზნის მისაღწევად არც სახიფათო დარტყმებს, მახრჩობელა ილეთებს და ჩავლებას გამორიცხავს. ძიუდო უფრო ჰუმანური და ამავე დროს სპორტული სისტემაა, ჯიუ-ჯიცუ — მკაცრი და დაუნდობელი. ტრადიციულ კარატეში (და არა სპორტულში) უხვად იყენებდნენ უსასტიკეს დარტყმებს. ხელებითა და ფეხებით სხეულის დაუცველ ნაწილებსა და ნერვულ ცენტრებში მიყენებულმა ასეთმა დარტყმებმა სამუდამოდ შეიძლება დაასახიჩროს ადამიანი.

არც სუმო უარყოფს ზემოთ დასახელებული სისტემის ზოგ უხეშ ილეთს, მაგრამ ეს სახეობა კარგა ხანია სახალხო დღესასწაულების კუთვნილებად იქცა და დროთა განმავლობაში დაკარგა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ელფერი.

მაშ ასე, ერთ მხარეს — ჯიუ-ჯიცუ, კარატე, ძიუდო, როგორც თავდაცვის სისტემები, მეორე მხარეს — სუმო, როგორც ეროვნული ტრადიცია და პოპულარული გასართობი. მაგრამ თურმე მათზე ადრე იყო ტეგოი, ყველა სისტემის საფუძველთა საფუძველი.

ძველ იაპონურ ხელნაწერებში დაცულია ორი „ზეკაცის" — ტამიკაძუცინოკამისა და ტატემინაკატონოკამის ბრძოლის ამსახველი მასალები. მეტოქეთა სიძლიერის საზომი ამ ბრძოლაში ფიზიკური ძალა ყოფილა. ხელნაწერებში არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ ვინ მოიგო ჭიდილი, ვის დარჩა გამარჯვება: ცნობილია მხოლოდ ის, რომ ურთიერთობის გარკვევის ყველაზე პოპულარულ ფორმას მაშინდელ იაპონიაში ტეგოის უწოდებდნენ და ეს „ზეადამიანები" სწორედ ტეგოის ილეთებს იყენებდნენ ბრძოლაში. უფრო გვიანდელ წყაროებში ვხვდებით კიდევ ერთი ორთაბრძოლის — ნომინო სუკუნესა და ტაიმანო კუეხაიას შეხვედრის აღწერას. აქ, ამ ჭიდილში, სხვა ვნებები ბობოქრობდა თურმე და ფინალიც, ცხადია, უფრო ტრაგიკული გამოდგა. სუკუნემ რამდენიმე ნეკნი ჩაუმტვრია მეტოქეს და ბოლოს სიცოცხლეს გამოასალმა. ტეგოიში, როგორც ხედავთ, იმთავითვე ბატონობდა უხეში ფიზიკური ძალა.

XVI საუკუნეში ვინმე ტაკეუციმ შეიმუშავა დაცვისა და თავდასხმის ორიგინალური სისტემა, სადაც ფიზიკურ ძალას უპირისპირდებოდა სისწრაფე, ხერხი, საზრიანობა, ტაკეუციმ თავის სისტემას „კოგუსოკუკოსინო-მოვარი" უწოდა. „მოვარიმ", რომლის მიმდევრებს დღესაც შეხვდებით იაპონიაში, ეროვნული აღიარება ვერ ჰპოვა, თუმცა მისი მთავარი პრინციპი (სუსტი ძლიერის წინააღმდეგ) შემდგომაც პოპულარული იყო.

იაპონია მუდამ ცნობილი იყო თავდაცვის სისტემათა სიმრავლით. ყოველ კუნძულს, პროვინციას, ქალაქს ჰყავდა თავისი თეორეტიკოსი, სკოლის მეთაური, რომელიც უკვე ცნობილ სისტემათა საფუძველზე ბრძოლის ახლებურ და განსხვავებულ ფორმებს ქმნიდა. ბევრი ასეთი სისტემა უკვალოდ გაქრა, ბევრი მთლიანად გაითქვიფა უფრო სრულყოფილ სისტემებში. მათ შორის მხოლოდ რამდენიმემ შეინარჩუნა პირვანდელი სახე და თვითმყოფადობა.

ერთ-ერთი ასეთი პოპულარული სისტემა იყო „იავარა" (მუშტი), რომლის უმთავრესი პრინციპები 1639 წელს შექმნა და ჩამოაყალიბა ეროვნული ჭიდაობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო სპეციალისტმა ხეკიგუცი ძიუსამ. იავარას პრინციპები არც ისე რთულია და უმთავრესად მებრძოლის, ამ შემთხვევაში თავდამსხმელის უხერხული მოძრაობის ან ფიზიკური ძალის არასწორ გამოყენებაზეა აგებული. იავარას მთავარი ილეთი სარმაა.

უძველეს იაპონურ წიგნში „კემპო-ხისიოში", რაც სიტყვა-სიტყვით „მუშტი-კრივის საიდუმლო წიგნს" ნიშნავს, ნათქვამია, რომ 1538 წელს ჩინეთიდან ტოკიოში საცხოვრებლად გადმოვიდა ჩენ იუნ-უნი (იაპონურად — ჩინ გენპინი), რომელმაც ადგილობრივ სამურაებს შეასწავლა თავდაცვის განსხვავებული სისტემა (იაპონელებმა მასაც იავარა უწოდეს). სპეციალისტებს ეს სისტემა, სადაც მთავარი ყურადღება ექცეოდა დარტყმას ხელებითა და ფეხებით, კარატეს წინამორბედად მიაჩნიათ.

თავდაცვის სისტემები იაპონიაში ამის შემდეგაც უხვად იქმნებოდა, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველ სიახლეს საფუძვლად ედო ნაცნობი ილეთები უკვე მოქმედი სისტემებიდან. „კიუსინრიუ", მაგალითად, „კენდენ კუმიციუს" სისტემიდან შეიქმნა, „ჯიუ-ჯიცუ" კი — „ციოკუსინრიუს" სისტემიდან. სხვათა შორის, თავდაპირველად ჯიუ-ჯიცუსაც იავარას უწოდებდნენ და მხოლოდ მოგვიანებით, როცა „იავარას" იეროგლიფს დაერთო „ჯიცუს" იეროგლიფი, მოხდა ამ ორი სიტყვის ტრანსფორმაცია.

ციოკუსინრიუს ანუ ჯიუ-ჯიცუს ყველაზე ერთგული მიმდევრები იყვნენ იბარაკი სანსაი და ტერადა სადაზმონმანეი, რომლებმაც განავითარეს და სრულყვეს ეს სისტემა. საინტერესოა, რომ სიტყვა ძიუდოს „ციოკუსინრიუს" სისტემაში ჯერ კიდევ 1674 წელს ვხვდებით.

XVII-XVIII საუკუნეებში ხდება ჯიუ-ჯიცუს წესებისა და მეთოდიკის დიფერენციაცია. ვინც სრულყოფილად ფლობდა გდებასა და სარმას, საკუთარი მიკროსისტემები შექმნა, ხოლო მათ, ვინც უკეთ იყო გაწაფული სახიფათო დარტყმებსა და მტკივნეულ ილეთებში, ახალ პრინციპებს ჩაუყარეს საფუძველი.

XIX საუკუნის მიწურულს, როცა ხელჩართულმა ბრძოლამ დაკარგა პირვანდელი მნიშვნელობა და პოპულარობა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და ფიზიკური აღზრდის სპეციალისტმა ძიგორო კანომ დაიწყო ჯიუ-ჯიცუს სისტემებისა და სკოლების ინტენსიური შესწავლა. მრავალი წლის მუშაობის შემდეგ კანომ არჩევანი შეაჩერა ორ სისტემაზე, რომლებიც, მისი აზრით, სხვებზე უკეთ იყო დამუშავებული და შესწავლილი. ეს გახლდათ „ტენზიესინირიუ" და „კიტორიუ". დაუღალავმა მკვლევარმა ამ სისტემებიდან გამოყო დაცვისა და თავდასხმის რაციონალური ილეთები, მეცნიერულად დაამუშავა ისინი და შექმნა მწყობრი, ერთიანი სისტემა.

1882 წელს კანომ ტოკიოს ცენტრში საკუთარი სახსრებით ააგო „კოდოკან ძიუდოს" სპეციალური ინსტიტუტი, სამეცნიერო ცენტრი, სადაც არა მარტო ძიუდოს ხელოვნებას ასწავლიან, არამედ იკვლევენ ამ სისტემას თეორიულად, პრაქტიკულად, ამუშავებენ ახალ მეთოდიკას და იძლევიან სრულყოფილ რეკომენდაციებს. სწორედ ამ გზით მიაღწია ძიუდომ მსოფლიო აღიარებას.

# უეფა: პრობლემები და აქტუალური საკითხები

**ავსტრიის** დედაქალაქში გაიმართა უეფა-ს პრეზიდიუმის კონფერენცია, სადაც განიხილეს მსაჯობის ხარისხის გაუმჯობესების, ოლიმპიური ფეხბურთის განვითარების, მოთამაშეთა კლუბიდან კლუბში გადასვლის, ჭაბუკთა ჩემპიონატების ორგანიზაციის საკითხები.

როგორც ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის პრეზიდენტმა ლენარტ იოჰანსონმა განუცხადა ჟურნალისტებს, კონფერენციაზე ლაპარაკი იყო ფეხბურთის წესებში ზოგიერთი ცვლილების თაობაზე. მაგალითად, განიხილეს საკითხი საფეხბურთო კარების ზომების გაზრდის მიზანშეწონილობის შესახებ. პრეზიდენტმა კვლავ გაუსვა ხაზი, რომ გადიდებული კარებით თამაში „არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს, ვინაიდან ფეხბურთი დაემსგავსება ხელბურთს, შეხვედრები დიდი ანგარიშებით დამთავრდება და გოლიც გაუფასურდება". კონფერენციაზე განიხილეს დროის განზრახ გაჭიანურების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი, პრეზიდენტის აზრით, მიზანშეწონილი იქნება, თუ მოთამაშეებს აუკრძალავენ მეკარეებისთვის ბურთის მიწოდებას, მაგრამ ამ თემაზე მას დაწვრილებით არ ულაპარაკია, ვინაიდან ეს საკითხები განსახილველად შეტანილია უეფა-ს შემდგომ კონფერენციაზე, რომელიც აპრილისთვისაა დაგეგმილი.

ლ. იოჰანსონმა საფეხბურთო საზოგადოებრიობის საგანგებო ყურადღება მიაპყრო მსაჯების საქმიანობაში ვიდეოჩანაწერის გამოყენების პრობლემას. მან აღნიშნა, რომ ამჟამად განიხილება საკითხი იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა მსაჯს განსახილველად წარედგინოს თამაშის ვიდეოჩანაწერი კრიტიკულ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღებისა და საბედისწერო შეცდომების თავიდან ასაცილებლად. ახალი წესის მიღების შესაძლებლობა უეფა-ს პრეზიდენტმა შეაფასა თანაბრად: 50 პროცენტი — 50 პროცენტზე.

შესაძლოა მოხდეს სიახლე ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა ამას წინათ პროექტი წარმოადგინეს: ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მეოთხედფინალიდან შეჯიბრება ჩატარდეს წრიულად, ორ ჯგუფად, 4-4 კლუბი თითოეულ მათგანში.

რაც შეეხება ოლიმპიურ თამაშებში პროფესიონალ ფეხბურთელთაგან დაკომპლექტებული გუნდების მონაწილეობის შესაძლებლობას, ლ. იოჰანსონმა ამ შეკითხვაზე უარყოფითად უპასუხა და თავისი პოზიცია ასე განმარტა: „ჩვენ ხომ თვითმკვლელები არა ვართ".

დაბოლოს, პრეზიდენტმა ილაპარაკა ინგლისელ გულშემატკივართა ხულიგნობაზე. მისი სიტყვებით, ინგლისელ გულშემატკივართა თავაშვებულობას ზღვარი უნდა დაედოს, აპრილის კონფერენციაზე კი განიხილავენ ინგლისის „ლივერპულის" საკონტინენტო თასების გათამაშებაში მონაწილეობის საკითხს.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## რუმენიგე ახალ ამპლუაში

კარლ-ჰაინც რუმენიგეს გვარი კვლავ გამოჩნდა გერმანულ პრესაში, ოღონდ ფეხბურთისგან განსხვავებულ ამპლუაში. საქმე ის არის, რომ საცხენოსნო შეჯიბრებაში, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია, რუმენიგე, როგორც ჟოკეი, მეორე ადგილზე გავიდა.

## თითოეულმა — 53 ათასი

ცოტა მოგვიანებით, მაგრამ ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ მაინც დააჯილდოვა თავისი ნაკრების ფეხბურთელები მსოფლიოს გასულ ჩემპიონატში დაკავებული მეოთხე ადგილისთვის. თითოეულმა ფეხბურთელმა 53 ათასი გირვანქა სტერლინგი მიიღო.

## გადაწყვეტილება შეცვალა, მაგრამ...

ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების ახალმა მწვრთნელმა რობერტო ფალკაომ ამ თანამდებობაზე დანიშვნისას განაცხადა, რომ ნაკრებში სათამაშოდ აღარ მიიწვევს იმ ფეხბურთელებს, რომლებიც უცხოეთის გუნდებში გამოდიან.

მაგრამ შემდგომში რ. ფალკაომ ეს გადაწყვეტილება შეცვალა, კვლავ მოუხმო უცხოეთში მყოფ ბრაზილიელ ფეხბურთელებს, მაგრამ კლუბების მეპატრონეებმა, თითქოს პირი შეკრესო, ეს მოთამაშეები არ გაუშვეს ბრაზილიის ნაკრებში საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად.

## 1994 წლამდე...

უწინ იუგოსლავიის ფეხბურთელთა ნაკრებში მწვრთნელები წარამარა იცვლებოდნენ და ეს გასაგებიც იყო: გუნდს კარგა ხანია რაიმე მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიეღწია. შარშან მიიჩნიეს, რომ იუგოსლავიელები მსოფლიო ჩემპიონატში ურიგოდ არ გამოსულან და მწვრთნელმა ივიცა ოსიმმაც ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო.

ახლა ი. ოსიმთან ხელშეკრულება 1994 წლის ზაფხულამდე გაგრძელდა, მანამ, სანამ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი არ დამთავრდება.

● **ათენი.** საბერძნეთის ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში „ოლიმპიაკოსმა" გაიმარჯვა „ლევადიაკოსთან" შეხვედრაში (XIX ტური) — 1:0. „ოლიმპიაკოსს" ახლა 27 ქულა აქვს და 4 ქულით ჩამორჩება ლიდერს — „პანათინაიკოსს", თუმცა, ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

● **ბონი.** გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა გადაწყვიტა შეცვალოს ადრინდელი გადაწყვეტილება მსოფლიო ჩემპიონთა სამხრეთ ამერიკაში გამგზავრების თაობაზე. ეს უარი გამოწვეულია სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომით, მწვრთნელი შიშობს, რომ შესაძლოა, მოხდეს ტერორისტული გამოხდომები.

ეროვნულ ჩემპიონატში წინ არიან „ვერდერი", „ბაიერნი" და „კაიზერსლაუტერნი", რომლებსაც 17 ტურის შემდეგ, შესაბამისად, დაგროვილი აქვთ 24, 23 და 22 ქულა. უამინდობის გამო არ შემდგარა რამდენიმე კალენდარული შეხვედრა.

● **რიო-დე-ჟანეირო.** ბრაზილიის ჩემპიონატში 3 ტურის შემდეგ 6 ქულით ლიდერობს „ატლეტიკო პარანაენსე". ბოლო შეხვედრა ლიდერმა სტუმრად მოუგო „ფლუმინენსეს" — 2:0.

● **ლონდონი.** მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების ცნობილ მუზეუმში ახალი ექსპონატი გამოჩნდა: ესაა პოლ გესკოინი, ინგლისის ნაკრების საუკეთესო მოთამაშე ბოლო მსოფლიო ჩემპიონატში.

● **ჰონკონგი.** აქ დაიწყო 4 გუნდის საერთაშორისო ტურნირი. მოსკოვის დინამოელებმა მარცხი იწვნიეს ინგლისის „ასტონ ვილასთან" მატჩში — 0:1, ხოლო ჰონკონგისა და ტაილანდის გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს ჰონკონგელებმა — 2:0. ტურნირში გამარჯვებული გუნდი ჯილდოდ მიიღებს 20 ათას ამერიკულ დოლარს.



● **რომი.** იტალიის ნაკრებმა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის უახლოესი შესარჩევი მატჩი 1 მაისს უნდა გამართოს უნგრელთა წინააღმდეგ საკუთარ მინდორზე. იმ მიზნით, რომ დააინტერესოს მოთამაშეები, იტალიის ფედერაციამ ნაკრების წევრებს აღუთქვა, რომ, თუ ისინი ამ შეჯიბრების ფინალში გავლენ, თითოეული მათგანი მიიღებს 150 მილიონ იტალიურ ლირას.

● **პრაღა.** კიევის დინამოელებმა ქ. ვრანოვში (აღმოსავლეთ სლოვაკია) ამხანაგური საერთაშორისო მატჩი მოუგეს ადგილობრივ „ბუკოზას" — 2:1.

● **ბუდაპეშტი.** აქ გამოცხადდა, რომ კონტრაქტი დაიდება უნგრეთის პოპულარულ კლუბ „ფერენცვაროშსა" და კიევის „დინამოს" ნახევარმცველ ვასილი რაცს შორის. კონტრაქტი ოფიციალურად გაფორმდება უახლოეს დღეებში.

● **ბორდო.** საფრანგეთის ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა „ბორდომ" ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა მიუნხენის ცნობილ „ბაიერნთან". ფრანგმა ფეხბურთელებმა მოულოდნელად დიდი ანგარიშით წააგეს თამაში — 0:6. ბურთები გაიტანეს ვოლფარტმა (3), ტონმა, ლაუდრუპმა და რეიტერმა.

● **ბუენოს-აირესი.** არგენტინის ნაკრებმა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა გამართა ახალი მწვრთნელის ალფიო ბაზილის ხელმძღვანელობით. არგენტინელებმა თავიანთ დედაქალაქში მიიღეს უნგრეთის ნაკრები და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს არიელ ფრანკომ და ანტონიო მოჰამედმა.

**საკავშირო ჩემპიონატი კალათბურთში**

# ჩემპიონატი არეული გრაფიკით

არც ერთი საკავშირო შეჯიბრება არ ტარდება ისეთი არეული გრაფიკით, როგორც კალათბურთელ ვაჟთა 58-ე ჩემპიონატი. სწორედ ამიტომ, პირველი ჯგუფის პოტენციური ლიდერი ტალინის „კალევი", რომელმაც ერთადერთი შეხვედრა წააგო, სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა. არადა, ესტონელებზე წინ არიან, მაგალითად, ტაშკენტელი კალათბურთელები, რომლებმაც მხოლოდ ორი შეხვედრა მოიგეს, თორმეტი წააგეს, მაგრამ „კალევზე" ერთი ქულით მეტი დააგროვეს. ასე რომ, სატურნირო ცხრილებს, რომლებსაც ქვემოთ გთავაზობთ, ერთგვარად ფორმალური მნიშვნელობა აქვს.

**პირველი ჯგუფი**

**მდგომარეობა 19 თებერვლისთვის**

| | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „სპარტ." (ლენინგ.) | 11 | 3 | 25 |
| „ბუდიველნ." (კ.) | 10 | 4 | 24 |
| ასკ (ალმა-ათა) | 9 | 5 | 23 |
| ცსკა | 6 | 8 | 20 |
| „სპარტაკი" (ლუგანს.) | 6 | 8 | 20 |
| „დინ". (მოსკოვი) | 7 | 4 | 18 |
| ვეფ (რიგა) | 7 | 4 | 18 |
| ასკ (კიევი) | 5 | 8 | 18 |
| „სტროიტ". (სამარა) | 4 | 10 | 18 |
| ნკი (ნიკოლაევი) | 3 | 10 | 16 |
| „უზსტრ". (ტაშკენტი) | 2 | 12 | 16 |
| „კალევი" (ტალინი) | 7 | 1 | 15 |

მეორე ჯგუფში, სადაც თბილისის დინამოელები გამოდიან, შედარებით უფრო სტაბილური მდგომარეობაა. აქ გუნდებს მეტწილად 12-14 შეხვედრა აქვთ ჩატარებული და გათამაშების ცხრილიც უფრო რეალურია.

**მეორე ჯგუფი**

**მდგომარეობა 19 თებერვლისთვის**

| | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|
| რტი (მინსკი) | 12 | 0 | 24 |
| „დინამო" (თბილისი) | 11 | 2 | 24 |
| „ლოკ." (ნოვოსიბ.) | 8 | 6 | 22 |
| „იმპულსი" (კრასნ.) | 8 | 5 | 21 |
| „ავტოდორ". (სარატ.) | 7 | 7 | 21 |
| ასკ (რიგა) | 8 | 4 | 20 |
| „კრ. კოტ." (ტაგან.) | 6 | 6 | 18 |
| „სტროიტ." (ირკუტ.) | 5 | 7 | 17 |
| „შახტ." (ნერიუნ.) | 5 | 7 | 17 |
| „სტროიტ." (მოსკ. ოლქი) | 3 | 11 | 17 |
| „დინ." (ფრუნზე) | 3 | 11 | 17 |
| „შახტ." (დონეცკი) | 2 | 12 | 16 |



როგორც ხედავთ, ძირითადი ბრძოლა ამ ჯგუფში მინსკელ და თბილისელ კალათბურთელთა შორის მიმდინარეობს და ბევრი რამ დამოკიდებულია დარჩენილ შეხვედრათა შედეგებზე. გთავაზობთ თბილისელთა თამაშების განრიგს:

23 თებერვალი. „კრ. კოტელშჩიკი" (ტაგანროგი) — „დინამო"

26 თებერვალი. „შახტიორი" (დონეცკი) — „დინამო"

2 მარტი. „დინამო" — „დინამო" (ფრუნზე)

5 მარტი. „დინამო" — „ლოკომოტივი" (ნოვოსიბირსკი)

13 მარტი. „დინამო" — რტი (მინსკი)

16 მარტი. „დინამო". — ასკ (რიგა)

23 მარტი. „შახტიორი" (ნერიუნგრი) — „დინამო".

26 მარტი. „სტროიტელი" (ირკუტსკი) — „დინამო".

**შენიშვნა:** ჯერ არ არის დაზუსტებული რიგის არმიელთა და თბილისის „დინამოს" პირველი წრის შეხვედრის თარიღი.

რამდენიმე სიტყვა ქალთა საკავშირო ჩემპიონატზეც, თუმცა ეს ტურნირი კიდევ უფრო „გასაიდუმლოებულია" და ტექნიკური შედეგები ცალკეულ შეხვედრათა შესახებ იშვიათად იბეჭდება. ამიტომ, ცხრილის გამოქვეყნება პრაქტიკულად შეუძლებელია. გაცნობებთ მხოლოდ იმას, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) კალათბურთელები ლიდერთა სამეულში იმყოფებიან (15 შეხვედრიდან მათ თერთმეტი მოიგეს). ჩვენს გუნდს ჩასატარებელი დარჩა 7 შეხვედრა (ოთხი — შინ და სამი — სტუმრად). გთავაზობთ ამ მატჩების კალენდარს:

1. მარტი. სტუ — „დინამო" (მოსკოვი).

6 მარტი. სტუ — „სპარტაკი" (პენზა).

12 მარტი. „უნივერსიტეტი" (სიმფეროპოლი) — სტუ

15 მარტი. „სტალი" (დნეპროპეტროვსკი) — სტუ

21 მარტი. სტუ — „კრასნი აქსაი" (როსტოვი).

23 მარტი. სტუ — „მედიკი" (დონეცკი)

25 მარტს გაიმართება გამოტოვებული შეხვედრა სვერდლოვსკის „ურალმაშთან".

# ნელსონ პიკეს წარმატების იმედი აქვს

**მსოფლიოს** სამგზის ჩემპიონი „ფორმულა 1" კლასში კვლავ ცდილობს დაიბრუნოს უძლიერესის სახელი.

თორმეტმა სახიფათო წელმა „ფორმულა 1" კლასში ვერ გაანელა პიკეს „მადა". იგი სამჯერ იყო მსოფლიოს საუკეთესო მრბოლი — 1981, 1983 და 1987 წლებში.

ნელსონ პიკე, რომლის აქტივშიც 188 სტარტი, 24 საკვალიფიკაციო რბოლა და 22 მოგებაა, ჯერ არ ფიქრობს სპორტის მიტოვებას და შესაძლებელია, ყველაფერი შეცვალოს საუცხოოდ მომზადებული „ბენეტონ-ფორდის" ავტომობილის საჭესთან.

პიკეს სწრაფვას გამარჯვებისადმი, ეჭვგარეშეა, აცხოველებს ფულადი პრემიაც, რომელსაც იგი იღებს ჩემპიონატში ყოველი ქულის მოპოვების შემთხვევაში.

პიკეს კარგ სპორტულ ფორმაში ყოფნა აიძულებს მსოფლიოს ახლანდელ ჩემპიონს აირტონ სენას, ხშირ-ხშირად გახედოს თავის თანამემამულეს საკუთარი ავტომობილის სარკეებიდან, რათა მან არ გაუსწროს.

პიკეს დაბრუნება ასევე „უხერხულ მდგომარეობაში" ჩააყენებს „ფერარის" აღიარებულ ოსტატებს — ალენ პროსტს და ახალგაზრდა ჟან ალეზს.

ფიქრობენ, რომ ნელსონ პიკე სხვანაირ ელფერს შემატებს წლევანდელ ჩემპიონატს. მან შვიდი საუკეთესო წელი გაატარა „ბრებემთან" და შემდეგ „უილიამსთან", საიდანაც ნაიჯელ მენსელთან უთანხმოების გამო, გადავიდა „ლოტუსში".

„ლოტუსში" ყოფნის პერიოდი საკმაოდ „მოსაწყენი" იყო ადამიანისთვის, რომელიც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია, ისევე, როგორც ალენ პროსტი, ნიკი ლაუდა, ჯეკი სტიუარტი და ჯეკ ბრებემი.

პიკე ამბობს, რომ მას კიდევ ერთი ან ორი წელი დასჭირდება მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის კვლავ მოსაპოვებლად. რატომ განაგრძობს ასპარეზობას ბრაზილიელი?

პიკემ ეს ასე განმარტა: „თუ მოვძებნი რაიმე უკეთესს ჩემს ცხოვრებაში, ხვალვე მივატოვებ რბოლას, მაგრამ ჯერ ვერაფრისთვის მიმიგნია. ძნელია ამის ახსნა. ალბათ, ეს არის „ფორმულა 1" რბოლების სამუდამოდ დატოვების შიში".

მე არ მჭირდება ფული, — თქვა მულტიმილიონერმა, რომელმაც ერთხელ უკვე მიიღო გრძელვადიანი კონტრაქტი ავტორბოლაში. — ყველაფრით უზრუნველყოფილი ვარ ცხოვრებაში, მაგრამ ვაგრძელებ რბოლას, რადგან მომწონს ჩემი საქმე.

პიკეს პირად ცხოვრებაზე ხშირად წერენ მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ იგი გაურბის პრესის ყურადღებას, ცხოვრობს საკუთარ იახტაზე, რომელსაც ხშირად ხედავენ სამხრეთ საფრანგეთის, საბერძნეთისა და იტალიის ნაპირებთან. პიკემ თქვა: „ჩემი ნავი ჩემი სახლია. მიტაცებს საწყლოსნო სპორტი და იალქნიანი ნავი ის ადგილია, სადაც საუკეთესოდ ვისვენებ".

აირტონ სენა თავის თანამემამულეს ერთ-ერთ მთავარ მეტოქედ მიიჩნევს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლაში.

თავის ახალ გუნდზე ნელსონ პიკე ამბობს: „ჩვენ ჯერ არა ვართ მზად ჩემპიონობისთვის, მაგრამ მიზანს ვუახლოვდებით, ახლა ფიზიკურად უფრო კარგად ვარ მომზადებული, ვიდრე მაშინ, როცა პირველად გავხდი მსოფლიო ჩემპიონი".

**ფორმულა-1**



**კეკე როსბერგი**, „ქუჩების რბოლის" ძველი ოსტატი და მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონი „ფორმულა 1" კლასში, უბრუნდება ავტორბოლას. როსბერგმა „გააჩუმა" „მაკლარენის" წარმომადგენელი „მობილ 1" გრან პრის გათამაშების დროს გერმანიაში, რომელმაც თქვა, რომ უკვე გვიანაა მისთვის რბოლებში დაბრუნება.

# როსბერგი ბრუნდება

41 წლის როსბერგმა, რომლის ავტომობილის მართვის განუმეორებელი მანერაც მოსწონდათ გულშემატკივრებს, განაცხადა, რომ მის დაბრუნებას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს — განაგრძოს საყვარელი საქმე, რომლის გარეშეც ცხოვრება არ შეუძლია.

„ფორმულა 1" კლასის ავტომობილებით რბოლებს ძალზე დააკლდა კეკე როსბერგი, როდესაც 1986 წლის ბოლოს მან გადაწყვიტა დიდი სპორტიდან წასვლა.

როსბერგმა აღნიშნა: „ორი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რამაც გადამაწყვეტინა წასვლა, იყო ტურბოკომპრესორების აკრძალვა და საწვავის რაოდენობის შემცირება". როსბერგი კარგი ხასიათით გამოირჩეოდა ტრასაზეც და მის გარეთაც, რის გამოც ყველასგან დიდ პატივისცემას იმსახურებდა. „მაკლარენის" შტაბბინაში რონ დენისთან, მის ყოფილ მეპატრონესთან, სტუმრობის დროს იგი აღელვებული საუბრობდა საკუთარ მომავალზე „პეჟოს" გუნდში.

როსბერგმა თქვა: „სპორტი ისე გაუმჯობესდა ტექნიკურად, რომ მხოლოდ საუკეთესო გუნდს უნდა დაუბრუნდე. და თუ ამის საშუალება არაა, არც ღირს კარიერის განახლებაზე ფიქრი". შემდეგ დაუმატა — „მაგრამ, გარწმუნებთ, მხოლოდ როსბერგს შეუძლია მთელი ენერგიით მოჰკიდოს ხელი საქმეს. მე ძალზე ძლიერი ავტომრბოლი ვარ, ისეთი, რომელიც ყოველთვის კარგ ფორმაშია, მაგრამ მესმის, რომ საჭიროა კიდევ უფრო სრულყოფილი ტექნიკური მომზადება".

„მფრინავმა ფინელმა" ახლახან გაიარა ტესტირება „პეჟო 905 პროტოტიპის" საჭესთან „დიჟონის" ტრასაზე საფრანგეთში და „იუროპიენის" კორესპონდენტს გაუზიარა შთაბეჭდილებები: „თითქოს არასდროს მიმიტოვებია რბოლები. ცოტა ვშიშობდი და, ალბათ, ვღელავდი კიდეც ამდენი ხნის უმოქმედობის გამო, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა და რბოლისგან დიდი სიამოვნება მივიღე".

ავტოსპორტის მოყვარულებს ახსოვთ, რომ კეკე როსბერგმა პროტოტიპების შარშანდელი ჩემპიონატის ბოლო ორ ეტაპზე კანადასა და მექსიკაში იასპარეზა „პეჟო 905"-ის საჭესთან, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ოფიციალური ტესტირება, რადგან შედეგს მნიშვნელობა არ ჰქონდა. წელს კი იგი უკვე უეჭველად იასპარეზებს მთელს ჩემპიონატში.

„იუროპიენიდან" თარგმნა **დავით ჩუბინიძემ.**

სურათზე: კ. როსბერგი.

## ეროვნულ ფედერაციებს მოუწოდა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამედიცინო კომისიის თავმჯდომარემ პრინცმა დე მეროდმა ყველა ეროვნულ კომიტეტს მოუწოდა დაეხმარონ კომისიას აკრძალული ბიოსტიმულატორების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბიოსტიმულატორების მიღება, პრინცის სიტყვებით, ნამდვილი იარაა თანამედროვე სპორტის სხეულზე და მას საერთო ძალისხმევით უნდა ვებრძოლოთ.

## პარიზი, ბერლინი, მილანი

ის, რომ 1996 წლის ოლიმპიადას ატლანტა (აშშ) უმასპინძლებს, დიდ იმედებს აძლევს ევროპის არაერთ ქალაქს. 2000 წლის ოლიმპიადის ჩატარების მთავარი პრეტენდენტები თითქოს პარიზი და ბერლინი იყვნენ, მაგრამ, ირკვევა, რომ მათ ამ უფლებას ასე იოლად სხვა დიდი ქალაქები არ დაუთმობენ. ახლა ამ ოლიმპიადის ჩატარებაზე დიდ პრეტენზიას მილანიც აცხადებს.

**„სპორტპროგნოზი", მე-9 ტირაჟის პროგრამა (1-3 მარტი)**

| | | პროგნოზი | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **სსრკ თასის გათამაშება ფეხბურთში** | | | | | |
| 1. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი) | 1.III | 80 | 10 | 10 | X |
| **სსრკ ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)** | | | | | |
| 2. „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (რიგა) | 1.III | 80 | 10 | 10 | 1 |
| 3. „კრილია სოვეტოვი" (მოსკოვი) — „ტორპედო" (უსტ-კამენოგორსკი) | 1.III | 70 | 20 | 10 | X |
| 4. „სოკოლი" (კიევი) — „ხიმიკი" (ვოსკრესენსკი) | 1.III | 40 | 50 | 10 | 2 |
| 5. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ტორპედო" (ნიჟნი ნოვგოროდი) | 1.III | 70 | 20 | 10 | X |
| 6. „დინამო" (მოსკოვი) — ცსკა | 3.III | 30 | 20 | 50 | 1 |
| 7. „კრილია სოვეტოვი" (მოსკოვი) — „ხიმიკი" (ვოსკრესენსკი) | 3.III | 10 | 60 | 30 | X |
| 8. „ტორპედო" (იაროსლავლი) — „დინამო" (რიგა) | 3.III | 30 | 50 | 20 | 2 |
| **იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | | |
| 9. „პიზა" (პიზა) — „ინტერი" (მილანი) | 3.III | 10 | 60 | 30 | X |
| 10. „ლაციო" (რომი) — „იუვენტუსი" (ტურინი) | 3.III | 30 | 60 | 10 | 1 |
| 11. „მილანი" (მილანი) — „ნაპოლი" (ნეაპოლი) | 3.III | 50 | 40 | 10 | 1 |
| **ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | | |
| 12. „ატლეტიკო" (მადრიდი) — „ატლეტიკი" (ბილბაო) | 3.III | 70 | 20 | 10 | 1 |
| 13. „კადისი" (კადისი) — „რეალი" (მადრიდი) | 3.III | 10 | 70 | 20 | 1 |

**შენიშვნა:** პირველი წყვილის შედეგი განისაზღვრება თამაშის ძირითადი დროის მიხედვით.

**„სპორტპროგნოზი" მე-7 ტირაჟის შედეგები (15-17 თებერვალი)**

1—X, 2—1, 3—X, 4—1, 5—1, 6—1, 7—1, 8—1, 9—1, 10—2, 11—X, 12—1, 13—X.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

## ალარ სწყალობს ჩოგბურთელებს

ჩოგბურთის საერთაშორისო ორგანიზაციამ „უორლდ ჩემპიონშიფ ტენისმა" გადაწყვიტა, ამიერიდან აღარ მოაწყოს პროფესიონალთა ტურნირები მსოფლიო პირველობაზე. ამას ხსნიან მილიარდერ ჰანტის, ორგანიზაციის მთავარი სპონსორის, ფინანსური სიძნელეებით. ჰანტის მიერ უხვად სუბსიდირებულმა ამ ორგანიზაციამ 1967 წელს დაიწყო მოქმედება. შეჯიბრებები დალასში — ტეხასელი მილიარდერის ამ „საოჯახო რეზიდენციაში" იმართებოდა, საპრიზო ფონდი კი ერთ მილიონ დოლარს აღწევდა. რამდენიმე წლის „ომის" შემდეგ „უორლდ ჩემპიონშიფ ტენისი", როგორც იქნა, დაუზავდა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციას და ისინი ერთობლივად აწყობდნენ შეჯიბრებებს. ახლა კი ჰანტს რატომღაც მიაჩნია, რომ აღარ ღირს ჩოგბურთელების დაფინანსება.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ბ. ქორქია. კორექტორები ც. ჩიტიშვილი და მ. ძიძამიძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ბ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„მერანი" — 93-97-26, „მარათე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20